ბორჯომჰესი
Borjomi HPP

04/03/2021

#8

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს

ქ-ნ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შპს „ბორჯომჰესმა" განიხილა თქვენი მ/წ 18 თებერვლის N1500/01 წერილი, რომელიც ეხება სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულაზე 11,79 მგვტ დადგმული სიმძლავრის „პლატოჰესის" პროექტთან დაკავშირებულ შენიშნებს. კერძოდ, თქვენს მიერ გამოთქმულია მოსაზრებები „პლატოჰესის" ინფრასტრუქტურისა და კომპანიების - „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯ კომპანია"-სა და „IDS ბორჯომი საქართველოს" სალიცენზიო ფართობებთან გადაფარვის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოპინგის ანგარიშში მოცემულია პროექტის 2 ალტერნატიული ვარიანტი:

1. I ვარიანტი - (შერჩეული) მდინარის 1526,00 ნიშნულზე სათავე ნაგებობა - სადაწნეო გვირაბი - სადაწნეო მილსადენი - ჰესის შენობა სოფ. ტბის ძირში (ჰესის ენერგეტიკული ტრაქტის მთლიანი სიგრძე 7000მ);
2. II ვარიანტი - (უარყოფილი) მდ. ბორჯომულასა და მის შენაკად მდ. ცხრაწყაროზე მოწყობილი ორი სათავე ნაგებობა - 13000 მ სიგრძის სადაწნეო მილსადენი და ჰესის შენობა, დაბა ბორჯომის პლატოზე.

სკოპინგის ანგარიშში დასაბუთებულია და შერჩეულია - I ვარიანტი.

ჩვენდა გასაკვირად, საკითხის განხილვისას, ზემოაღნიშნულ ლიცენზიანტ კომპანიებს და „წიაღის ეროვნულ სააგენტოს" განხილული აქვთ ჩვენს მიერ უარყოფილი მეორე ვარიანტი (იხ. სურათი 2)., რომელიც ნამდვილად კვეთს მინერალური და მტკნარი წყლების საბადოებს მეორე დაცვით ზონებს.

თქვენს მიერ წარმოდგენილი წერილის შემდგომ, საკითხის დაზუსტების მიზნით, მივმართეთ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს", რომელზეც მიღებული წერილობითი პასუხით დადგინდა შემდეგი: „პლატოჰესის", სამინისტროში სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი და „წიაღის ეროვნულ სააგენტოდან" მიღებული დაცვის ზონების შეიპ ფაილების ზედდებით, ნათლად ჩანს, რომ პროექტის შერჩეული ვარიანტი არ კვეთს არც მინერალური წლისა და არც მტკნარის წლის საბადოების მეორე დაცვით ზონებს (იხ. სურათი 1).

ბარათაშვილის ქ. 3, მე-4 სართული
0105 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 18 11 31
ელ. ფოსტა: borjomihpp@gedf.com.ge

N8, Baratashvili str. 4th floor
0105 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 18 11 31
E-mail: borjomihpp@gedf.com.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 4348
"12" 03 2021
2 ფ.
+ 03 +

ბორჯომჰესი
Borjomi HPP

„წიაღის ეროვნულ სააგენტოდან" მიღებული გრაფიკული მასალა ტოვებს შთაბ[illegible]ილებას, რომ ჰესის სადაწნეო მილსადენის ბუფერული ზონა სოფელ ლიბანთან კვეთს მტკნარი წყლის მეორე დაცვითი ზონის საზღვარს. თუმცა „წიაღის ეროვნულ სააგენ[illegible]ოს" მიერ მოწოდებული შიეპ ფაილებისა და შერჩეული ვარიანტის შეიპ ფაილების (დანართი 1) ზედდებით ნათლად ჩანს, რომ მილსადენის ბუფერული ზონის ყველაზე ახლო დაცილება მეორე დაცვის ზონასთან შეადგენს მინიმუმ 15 მეტრს, ხოლო უშუალოდ მილსადენისაგან -45 მ-ს (იხ. სურათი 1; 1ა).

მასთანავე, აღნიშნულ მონაკვეთში მტკნარი წყლის მეორე დაცვის ზონას უახლოვდება მხოლოდ მილსადენი, რომელიც იღებს სათავეს 6 კმ-ით ზემოთ და ჩადებულია ტრანშეაში მიწის ზედაპირიდან მაქსიმუმ 2 მეტრში, ისევე როგორც აქ უკვე ჩადებული კომუნიკაციები (სა[illegible]ი წყალმომარაგების მილი, სილქნეტისა და მაგთის სადენები). შემდგომ, მილსადენი ჩადებ[illegible] სოფ. ტბის ძირში, სადაც წყალს აბრუნებს მდ. ბორჯომულაში. შესაბამისად, მტკნარი წყ[illegible] მეორე დაცვით ზონასთან 45 მეტრამდე მიახლოებული მილსადენი, რაიმე სახის ზემოქ[illegible]ედებას ვერ მოახდენს.

[illegible]არდა ამისა, სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში ჩადებულია ჰი[illegible]ეოლოგიური კვლევა, რომლის დასკვნის მიხედვითაც ზემოქმედება არაა მო[illegible]ოდნელი ბორჯომის მინერალური წყლების საბადოზე.

[illegible]ქვე გაცნობებთ, რომ უკვე შედგა ორი სამუშაო შეხვედრა მინერალური და მტკნარი წყ[illegible]ის ლიცენზიანტ კომპანიებთან, რომელთანაც მოლაპარაკებები უკვე აქტიურ ფაზაშია.

[illegible]ოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ განიხილოდ მოწოდებული ინ[illegible]აცია და კანონმდებლოთ გათვალისწინებულ ვადებში იმსჯელოთ წარმოდგენილ პრ[illegible]ზე სკოპინგის დასკვნის გაცემაზე.

პ[illegible]ცემით,

დირ[illegible]ორი
გიორ[illegible]ქათამაძე

Borjomi HPP LLC Digitally signed by Borjomi HPP LLC Date: 2021.03.04 13:56:26 +04'00'

ბარათაშვილ[illegible] მე-4 სართული
0105 თბილ[illegible]ართველო
ტელ: (+995 3[illegible] 11 31
ელ. ფოსტა: b[illegible]ihpp@gedf.com.ge

N8, Baratashvili str. 4th floor
0105 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 18 11 31
E-mail: borjomihpp@gedf.com.ge